ეროვნული ბიბლიოთეკა



ამ ორ სურათზე აღბეჭდილია მსოფლიო რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში ვ. ბრუმელი. მარცხენა სურათზე მას თქვენ ხედავთ ხტომისათვის მზადების მომენტში, ხოლო მარჯვნივ — ხტომის დროს.



2
სექტემბერი
შაბათი,
1961 წ.
№ 134 (1770)
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

## ფენომენალური რეკორდი

უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებული მძლეოსანთა შეჯიბრების დაწყებამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი. სოფიის სპორტულ ბაზებზე კალათბურთის, ფრენბურთის, წყალბურთისა და სხვა სახეობათა წარმომადგენლები ჯერ კიდევ ასპარეზობდნენ ჩემპიონის ოქროს მედლებისათვის, რომ მსოფლიო რეკორდსმენს სიმაღლეზე ხტომაში ვ. ბრუმელს მოსვენებას არ აძლევდნენ.

— იქნება თუ არა ახალი მსოფლიო რეკორდი?

— ალბათ, ვნახოთ... — იყო საბჭოთა სპორტსმენის პასუხი.

ვ. ბრუმელმა შეასრულა თავისი სიტყვა. მან აღტაცებაში მოიყვანა ვასილ ლევსკის სახელობის სტადიონზე შეკრებილი ათასობით მაყურებელი, როცა დაძლია 225 სანტიმეტრი და დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი.

შესანიშნავ საბჭოთა სპორტსმენს მეგობრებთან ერთად დიდი გამარჯვება მიულოცეს სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენებმა.

— ფენომენალური სპორტსმენი ხართ, — უთხრა მას იაპონიის გუნდის ხელმძღვანელმა ბ-ნმა კატოზავამ. თქვენ იქნებით ტოკიოს ოლიმპიური თამაშების სპორტსმენი № 1, მაგრამ ვინაიდან დიდი დროა დარჩენილი ამ შეჯიბრებამდე, განმეორებით გთხოვთ — გვეწვიეთ სტუმრად იაპონიაში. თქვენ იქ აუცილებლად გაიჩენთ ახალ მეგობრებს, ამხანაგებს, მათ, ვისთვისაც ძვირფასია სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა დაახლოება.

31 აგვისტოს, როცა საბჭოთა მძლეოსნობის „კოსმონავტმა“ ახალი სივრცე დაიპყრო, წარმატება მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებმაც. უნივერსიადის ჩემპიონი ბირთვის კვრაში გახდა თ. პრესი — 17,12 მეტრი, კალათბურთელმა ვაჟებმა, ამჯერად დაამარცხეს უნივერსიადის ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტები, ბულგარელი სპორტსმენები — 63:59, ფრენბურთელმა ქალებმა, ადვილად მოუგეს იუგოსლავიის გუნდს 3:0. სსრ კავშირ-უნგრეთის გუნდების შეხვედრა წყალბურთში დამთავრდა ფრედ — 4:4.

## საერთაშორისო ფედერაციაში

აკადემიური ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მორიგმა კონგრესმა, რომელიც ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში ჩატარდა, მოისმინა პრეზიდენტ ტ. კელერის საანგარიშო მოხსენება გასულ წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ. ფედერაციის შემადგენლობაში მიღებულ იქნა ორი ახალი წევრი — მაროკო და ისრაელი. შეჯიბრების ახალი წესების შესამუშავებლად შეიქმნა სპეციალური კომისია.

კონგრესზე ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენდა გდრ-ს ნიჩბოსანთა კავშირის განცხადება მისი ფედერაციის სრულუფლებიან წევრად მიღების შესახებ. მას შემდეგ, რაც დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებმა უარი თქვეს გდრ-ს სპორტსმენებთან ერთობლივ საქმიანობაზე, ამ უკანასკნელთა წინაშე იქმნება სიძნელენი მათი ევროპისა და მსოფლიო პირველობებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შესახებ.

კონგრესმა 32 საწინაამდეგო ხმის გამო უარი უთხრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის აკადემიური ნიჩბოსნობის კავშირს მისი საერთაშორისო ფედერაციის წევრად მიღებაზე.

## სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარი

„ა“ კლასის გუნდებისათვის
(I-X ადგილები)
სექტემბერი

2. „ტორპედო“ (მოსკოვი)-„სპარტაკი“ (ერევანი), „ავანგარდი“ (ხარკოვი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი). 3. „დინამო“ (თბილისი)-„დინამო“ (კიევი), სკა (როსტოვი)-„პახტაკორი“ (ტაშკენტი), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-ცსკა. 15. ცსკა-სკა (როსტოვი), „პახტაკორი“ (ტაშკენტი)-„დინამო“ (თბილისი), „სპარტაკი“ (ერევანი)-„ავანგარდი“ (ხარკოვი), „დინამო“ (კიევი)-„ტორპედო“ (მოსკოვი). 16. „სპარტაკი“ (მოსკოვი)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი). 20. „ტორპედო“ (მოსკოვი)-„პახტაკორი“ (ტაშკენტი), „ავანგარდი“ (ხარკოვი)-„დინამო“ (კიევი), სკა (როსტოვი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი), „დინამო“ (თბილისი)-ცსკა. 21. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-„სპარტაკი“ (ერევანი). 25. ცსკა-„ტორპედო“ (მოსკოვი). 26. „პახტაკორი“ (ტაშკენტი)-„ავანგარდი“ (ხარკოვი), „დინამო“ (კიევი)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი). „სპარტაკი“ (ერევანი)-სკა (როსტოვი), „სპარტაკი“ (მოსკოვი)-„დინამო“ (თბილისი).

# ნახევარფინალები



## დარჩა ერთი ტური

ბათუმი. (ჩვენი სპეც. კორ.). XXIX საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალზე დასვენების დღის შემდეგ გაიმართა XVI ტური. კვლავ წარმატებით ითამაშა გურგენიძემ, რომელმაც დაამარცხა ანოხინი, მაგრამ მას არც სხვა ლიდერები ჩამორჩნენ. გიპსლისმა სძლია ლომაიას, ხოლო ბაგიროვმა — არაქელოვს, კალანტარი დამარცხდა ბუსლაევთან.

მწვავედ მიმდინარეობდა ნეის შეხვედრა გრუშევსკისთან. ესტონელმა ოსტატმა ვერ მიიღო მოგებისათვის საკმარისი უპირატესობა და პარტია ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგით დასრულდა მოსიონჟიკის პარტია როიზმანთან და ანტონოვისა — პრესთან. გადადებული პარტიების დამთავრებისას კლოვანმა ყაიმს მიაღწია როიზმანთან და გაუსწრო მას.

შეჯიბრების დასკვნითი, XVI ტურის წინ გურგენიძეს 13.5 ქულა აქვს, გიპსლისს — 12,5, ხოლო კლოვანსა და ბაგიროვს — 12 ქულა თვითეულს.

## ლიდერთა ბრძოლები

მინსკი. (ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალის X ტურში ყურადღების ცენტრში იყო ლიდერების პარტიები. ჩაიკოვსკაიას მწვავე ბრძოლა ჰქონდა გურფინკელთან. როსტოველმა ოსტატმა შეძლო ჩაიკოვსკაიას შეცდომების გამოყენება და გაიმარჯვა. კოზლოვსკაიამ და ვოიცეკმა შეხვედრა ყაიმით დაამთავრეს.

შეუპოვარი ბრძოლა გაუმართა კაკაბაძემ სვერდლოვსკელ ანიშჩენკოს. შუა თამაშში მან მოიპოვა პოზიციური უპირატესობა, მაგრამ ამ დღეს ვერ მოასწრო მისი რეალიზება. გადადებული პარტიების დამთავრებისას კაკაბაძემ პარტია გამარჯვებით დააგვირგვინა. ხუგაშვილმა მოუგო უკრაინელ ვიტკოვსკაიას.

X ტურის შემდეგ რანიკუსა (ტალინი) და კოზლოვსკაიას (პიატიგორსკი) 7-7 ქულა და თითო (ერთმანეთთან) გადადებული პარტია აქვთ, კაკაბაძესა (თბილისი) და ვოიცეკს (მოსკოვი) — 7 ქულა თვითეულს, ჩაიკოვსკაიასა (თბილისი) და გურფინკელს (დონის როსტოვი) — 6,5 ქულა თვითეულს. ხუგაშვილს 3,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

## წინ არიან მოსკოველები

ირკუტსკი. (ჩვენი სპეც. კორ.). ფინიშის მოახლოვება შესამჩნევია ირკუტსკის ნახევარფინალშიც. IX და X ტურების პარტიები გამოირჩეოდა დაძაბული ბრძოლით. მათი უმრავლესობა შედეგიანი აღმოჩნდა.

2-2 გამარჯვება მოიპოვეს კუშნირმა და რუბინჩიკმა. წარმატებით ითამაშა ლატვიის ჩემპიონმა ნახიმოვსკაიამ, რომელმაც დაამარცხა ოსტატი მალინოვა და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ოსტატ დმიტრიევასთან. კარგად ითამაშა ახალგაზრდა პოსტნიკოვამ, რომელმაც მოუგო გოგიავას და ყაიმზე შეუთანხმდა კაცკოვას. ორი საყაიმო შედეგი იქნა ფიქსირებული ბელავენეცის პარტიებში კაცკოვასა და ფილანოვსკაიასთან. გოგიავამ გაიმარჯვა ლოგინოვასთან.

X ტურის შემდეგ ნახიმოვსკაიას (რიგა) და პოსტნიკოვას (მოსკოვი) 7 ქულა აქვთ თვითეულს, კუშნირსა და კაცკოვას (ორივე მოსკოვიდან) — 6,5 ქულა თვითეულს, გორინას — 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია. გოგიავას აქვს 4,5 ქულა და ორი გადადებული პარტია.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 სექტემბრისათვის
XI-XXII ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მოსკოვი) | 21 | 8 | 6 | 7 | 33:29 | 22 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 24 | 6 | 10 | 8 | 27:36 | 22 |
| „შახტიორი“ (სტალინო) | 21 | 7 | 6 | 8 | 22:23 | 20 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 21 | 7 | 5 | 9 | 26:35 | 19 |
| „კაირატი“ (ალმა-ატა) | 22 | 7 | 5 | 10 | 25:35 | 19 |
| „ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი) | 21 | 6 | 5 | 10 | 27:32 | 17 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 22 | 6 | 5 | 11 | 34:42 | 17 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 21 | 5 | 6 | 10 | 25:32 | 16 |
| „ბელარუსი“ (მინსკი) | 22 | 4 | 7 | 11 | 18:32 | 15 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 21 | 3 | 6 | 12 | 22:43 | 12 |
| „სპარტაკი“ (ვილნიუსი) | 21 | 3 | 5 | 13 | 18:47 | 11 |
| „კალევი“ (ტალინი) | 21 | 0 | 7 | 14 | 14:46 | 7 |

• • •

ბოლო დღეებში ჩატარდა რამდენიმე მატჩი „ა“ კლასის გუნდებს შორის, რომლებიც მოხვედრილი არიან მეორე ათეულში. მოგვყავს მათი შედეგები: „შახტიორი“ (სტალინო)-„დინამო“ (მოსკოვი) — 0:0, „ტრუდი“ (ვორონეჟი)-„მოლდოვა“ (კიშინიოვი) — 3:0, „სპარტაკი“ (ვილნიუსი)-„ზენიტი“ (ლენინგრადი) — 0:1, „ბელარუსი“ (მინსკი)-„ნეფტიანიკი“ (ბაქო) — 0:0.

„პარტიას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია უზრუნველყოს ფიზიკურად მაგარი ახალგაზრდა თაობის აღზრდა, დაწყებული სულ პატარაობიდან, და მათი ფიზიკური და სულიერი ძალების ჰარმონიული განვითარება. ეს მოითხოვს ყველა სახეობის მასობრივი სპორტისა და ფიზიკური კულტურის ყოველი ღონისძიებით წახალისებას, მათ შორის სკოლებში, ფიზკულტურულ მოძრაობაში მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ჩაბმას.“

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან.

# სწავლა, შრომა და სპორტი

ცხოვრებასთან „სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ მიღებული კანონი სკოლის წინაშე ძირითად ამოცანად აყენებს ცხოვრებასთან, წარმოებასთან კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან სწავლების მჭიდრო კავშირს. ამ კანონში ნათქვამია, რომ „სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს ხმზრდელობითი მუშაობა სკოლაში, მან მოსწავლეებს უნდა ჩაუნერგოს ცოდნის, შრომის სიყვარული, მშრომელ ადამიანთა პატივისცემა, ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს კომუნისტური მსოფლმხედველობა. თბილისის მე-100 საშუალო სკოლის პედკოლექტივმა 1960-1961 სასწავლო წელს მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის გაუმჯობესების საქმეში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია პედაგოგიურად და მეთოდურად გამართული გაკვეთილების ჩატარებით აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას. ამ საქმეს ხელმძღვანელობენ ფიზკულტურის მასწავლებლები ი. რონიშვილი და გ. ცერცვაძე. სკოლის დირექცია ზრუნავს თანრიგოსნებისა და ნიშნოსნების მომზადებაზე. გასულ სასწავლო წელს მომზადდა 2 — პირველი, 5 — მეორეთანრიგოსანი, 15 — მესამეთანრიგოსანი, 21 — მოზარდთა თანრიგოსანი.

სკოლა ამაყობს თავისი აღზრდილი სპორტსმენებით. რ. შავლაყაძე, ბ. გურგენიძე, ჯ. გოგიაშვილი, ი. ლექავა, რ. ცოშაია და სხვანი, წარმატებით იცავენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას.

**მ. შაიშმელაშვილი,**
საქ. სსრ დამსახურებული მასწავლებელი, თბილისის მე-100 საშ. სკოლის დირექტორი.



რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი რ. შავლაყაძე თბილისის მე-100 საშუალო სკოლის ხშირი სტუმარია. ოდესღაც იგი ამ სკოლაში სწავლობდა. ახალი სასწავლო წლის დაწყების დღეს იგი კვლავ ესტუმრა თავის მშობლიურ სკოლას. ამ სურათზე აღბეჭდილია სწორედ ის მომენტი, როცა რ. შავლაყაძე მოსწავლე-სპორტსმენებს ესაუბრება თავისი განვლილი სპორტული გზის შესახებ.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# შიდასასკოლო რეკორდების განახლებისათვის

წელს მრავალი ღონისძიების განხორციელება გვაქვს განზრახული. აუცილებლად მივაღწევთ იმას, რომ ყოველი მოსწავლე მეცადინეობდეს სპორტის რომელიმე სახეობაში, რომ არც ერთი სკოლადამთავრებული არ დარჩეს სპორტული თანრიგის გარეშე და სკოლის დამთავრების შემდეგაც აქტიურად განაგრძოს სპორტული საქმიანობა. განზრახული გვაქვს კვლავაც დიდი ყურადღებით მოვეკიდოთ სკოლაში თანრიგოსნების მომზადების საქმეს, გავზარდოთ თანრიგოსანთა რაოდენობა.

სკოლის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო ყველა ღონეს მიმართავს, რათა სკოლის კედლებში დამყარებული რეკორდები (რ. შავლაყაძისა სიმაღლეზე ხტომაში — 180 სმ, ზ. ობოლაძისა ბირთვის კვრაში — 12 მ, ვ. ამაშუკელისა სიგრძეზე ხტომაში — 6,60 მ და სხვ.) უახლოეს ხანებში გადალახულ იქნას. ჩვენი სკოლის მოსწავლე სპორტსმენები შეუდგნენ აღნიშნული რეკორდების გაუმჯობესებას.

**ი. რონიშვილი,**
თბილისის მე-100 საშ. სკოლის ფიზიკური აღზრდის უფროსი მასწავლებელი.

## მიმდინარე წელს რესპუბლიკაში აგებულ იქნა 15 სასკოლო შენობა, რომლებსაც აქვთ სპორტული დარბაზები

თბილისის მე-100 საშუალო სკოლას ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ვეწვიეთ. სკოლა მომზადებული ხვდება ახალ სასწავლო წელს, რაშიც დიდი წვლილი თვით მოსწავლეებსაც მიუძღვით. ვუყურებთ მოსწავლეთა მიერ შეკეთებულ საკლასო ოთახებს, სასწავლო ინვენტარს და სურვილი გვებადება ამ სკოლაში სარემონტო კანტორის მუშაკები მოვიწვიოთ. ნახონ მათაც, რა გულდაგულ შეუძლიათ პატარებს მუშაობა. მოსწავლეებმა მრავალი მანეთის სარემონტო სამუშაოები შეასრულეს და სკოლას მნიშვნელოვანი დანაზოგი მისცეს. მე-100 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გასული სასწავლო წელი კარგი აკადემიური მოსწრებით დაამთავრეს.

# მუდამ მოწინავეთა რიგებში

სკოლას კარგი სპორტული ტრადიციები აქვს. ამაზე ნათლად მეტყველებენ სხვადასხვა დროს სპორტულ ასპარეზობაში გამარჯვებათა აღმნიშვნელი თასები, ვიმპელები, სიგელები.

ამ სკოლის კედლებში ბევრი კარგი სპორტსმენი აღიზარდა. ვინ არ იცნობს რომის ოლიმპიური თამაშების გმირს რ. შავლაყაძეს, საუკეთესო ქართველ მოჭადრაკეს ბ. გურგენიძეს. ისინი ხომ ამ სკოლის აღზრდილები არიან. ამ სკოლაში სწავლისას რ. შავლაყაძე სულ არ ფიქრობდა, რომ ოდესმე მძლეოსანი გახდებოდა და სპორტის ამ სახეობაში მისი მიღწევების გზა ოლიმპიურ რეკორდამდე მიიყვანდა. ფიზიკური აღზრდის უფროსმა მასწავლებელმა ი. რონიშვილმა თავიდანვე შეამჩნია რობერტს სიმაღლეზე ხტომის კარგი მონაცემები და სკოლის დირექტორს მ. შაიშმელაშვილსაც გაუზიარა თავისი აზრი. დირექტორი დაინტერესდა და მასთან კაბინეტში მყოფ რობერტს ხტომის ილეთიც კი გააკეთებინა. მაშინ უთხრა მან თავის აღსაზრდელს: „ბიჭოს! ასეთი მონაცემებით მარტო სკოლის ჩემპიონები არა ხდებიან, შენ უფრო შორს შეგიძლია წახვიდე. სკოლის ხელმძღვანელის წინასწარმეტყველება ახდა — რობერტი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სიმაღლეზე მხტომელი გახდა. მარტო წინასწარმეტყველება რობერტს არას უშველიდა, რომ მასა და მის აღმზრდელებს კარგად არ ემუშავათ. რობერტი ახლა თავისი მშობლიური სკოლის ხშირი სტუმარია, უზიარებს ნორჩ სპორტსმენებს თავის გამოცდილებას, ეხმარება მათ სპორტულ დაოსტატებაში.

სულ რაღაც ორიოდე კვირის წინათ მოსწავლეთა VII საკავშირო სპარტაკიადაზე ბაქოში, ამ სკოლის მოსწავლეები: ჯ. გოგიაშვილი (ტანვარჯიში), ზ. შილაკაძე (ცურვა), ა. ლაპიაშვილი და ბ. ბოლქვაძე (ორივე კალათბურთი) რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას იცავდნენ. ჯ. გოგიაშვილმა სპარტაკიადაზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია — მან ბჯენით ხტომებში მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

მე-100 საშუალო სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის წარმატებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლის შეფი — საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს სპორტული კლუბი. ამ სპორტული კლუბის ტანვარჯიშის სექციებში 60-მდე დამწყები კლასის მოსწავლე გადის წვრთნას, ამდენივე მოსწავლეა ჩაბმული სპორტკლუბის კალათბურთის სექციებში, სპორტკლუბის მოედანზე ვარჯიშობს 15 ფრენბურთელი. მოსწავლეთა დიდი ნაწილი სკოლაში ჩამოყალიბებულ ტანვარჯიშის, მაგიდის ჩოგბურთის, კალათბურთის, ჭადრაკისა და მძლეოსნობის სექციებში ოსტატდება.

ბევრი კარგი ნორჩი სპორტსმენი ჰყავს სკოლას. მძლეოსნები — მ. ოკუჯავა, მ. საძაგლიშვილი, კალათბურთელები — ლ. წკრიალაშვილი, ნ. ხუჭუა, მ. სხირტლაძე, თ. ჯოხაძე, მაგიდის ჩოგბურთელები — ჯ. მანაგაძე, ი. ბოჭორიშვილი და მრავალი სხვა სკოლის მოწინავე სპორტსმენები არიან. მათ არც სწავლაში აქვთ ჩამორჩენა. ქალაქის ჭაბუკთა ნაკრებში არიან ა. ბუაძე და თ. ხურციძე.

მე-100 საშუალო სკოლის კალათბურთელები, მაგიდის ჩოგბურთელები და მოჭადრაკეები დიდ შეჯიბრებათა დროს ხშირად პრიზიორთა რიგებში დგანან.

კარგად და მონდომებით მუშაობენ ამ სკოლის მოსწავლე-სპორტსმენები და მათი აღმზრდელები. ისინი ახალ სასწავლო წელს კიდევ ახალი გამარჯვების წყურვილით ხვდებიან. სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ნათლადაა ნათქვამი, რომ „პარტიას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია უზრუნველჰყოს ფიზიკურად მაგარი ახალგაზრდა თაობის აღზრდა, დაწყებული სულ პატარაობიდან, და მათი ფიზიკური და სულიერი ძალების ჰარმონიული განვითარება. ეს მოითხოვს ყველა სახეობის მასობრივი სპორტისა და ფიზიკური კულტურის ყოველი ღონისძიებით წახალისებას, მათ შორის სკოლებში ფიზკულტურულ მოძრაობაში მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ჩაბმას“. თბილისის მე-100 საშუალო სკოლაც ჩვენი რესპუბლიკის სხვა სკოლებთან ერთად სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის ამ მოთხოვნათა წარმატებით შესრულებისათვის მებრძოლთა რიგებშია.

**ჯ. ენუქიძე**

## მასწავლებელთა შეკრება

ამ დღეებში თბილისის 47-ე საშუალო სკოლის კლუბში შედგა დედაქალაქის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა თათბირი, სადაც მოხსენებით გამოვიდა თბილისის განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის მეთოდისტი ნ. გრძელიშვილი. მომხსენებელი შეეხო სკოლებში სპორტული მუშაობისა და სპორტული ბაზების მდგომარეობის საკითხებს.

თათბირზე მოწვეულმა ამხანაგებმა წამოაყენეს ბევრი საყურადღებო წინადადება სკოლაში სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

**ი. ხაბეიშვილი**



ჰოლანდი (ავსტრალია)



ჰილებრანდტი (ავსტრალია)



კატონა (უნგრეთი)



კამარონი (უნგრეთი)

უამინდობის გამო 31 აგვისტოს თბილისის „დინამოს" კორტებზე დანიშნული საერთაშორისო შეხვედრა უნგრეთის, ავსტრალიისა და საქართველოს ჩოგბურთელებს შორის არ შემდგარა.

ჩვენი სტუმრების მეგობრული შარჟები შეასრულა მხატვარმა გ. დოლიძემ.

# მაყურებელი თვითონვე ხვდა...

## საქართველოსა და აშშ-ს ტანმოვარჯიშეთა საჩვენებელი გამოსვლები

...ინტერესო ასპარეზო-... მოწმენი იყვნენ სპო-...ის სასახლეში თბი-...ელი მაყურებლები 30 აგვის-...ს. თუმცა სიტყვა „ასპარეზობა" ...სპეციალურ განმარტებას მო-...ოვს. მოსკოვის შეხვედრისაგან ...სხვავებით, ამერიკელმა ტანმო-...რჯიშეებმა თბილისში თავიანთ ქა-...ველ კოლეგებთან ერთად მოაწ-...ს საჩვენებელი გამოსვლები. ამ-...ად, სპორტულ ღონისძიებას ჩა-...ცილდა სპორტული ბრძოლის ...თ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატ-...უტი — მსაჯობა და ტანმოვარ-...ეთა გამოსვლების შეფასების ...ეც „ბედის ანაბარად" დარჩა. ...ცვალა მონაწილეობის წესებიც: ...ა უკვე გუნდების მთელი შე-...ადგენლობა კი არ გამოდიოდა ...ველ იარაღთან, არამედ სამ-სამი ...ი, რომლებსაც ეკისრებოდათ ...ატიო მოვალეობა — ეჩვენები-... ყველაფერი საუკეთესო, რაც ...ნია მათს ტანვარჯიშულ სკო-...ს.

...აგრამ, ზემოაღნიშნულმა გარე-...ებამ მთლიანად როდი მოხსნა ...არეზობის, შეჯიბრების სულისკ-...ება. და არც მართლა „ბედის ...ბარად" დარჩენილა სპორტსმენ-... ვარჯიშების შეფასებაც: ტაში ...ზოგჯერ ოვაციებიც თბილისელი ...ურებლისა, რომლებსაც ამერი-... დელეგაციის ხელმძღვანელმა, ...ს ტანვარჯიშის ასოციაციის ...ზიდენტმა ჯორჯ გულაკმა თავის ...ოლოო სიტყვაში „თვით ჩვენზე, ...ნმოვარჯიშეებზე უფრო კომპე-...ტური მცოდნეები" უწოდა, ბევ-... ენაცვლებოდა მსაჯთა ოფი-...ლურ შემფასებელ ტაბლოებს. ...ე იყო, მაგალითად, თბილისელი ...ავაზიანის გამოსვლისას რგო-...ებზე, როცა მან თავისი ოფიცია-...ური, უკვე ცნობილი, „ჯვარით" ...წყო ვარჯიში და შემდგომაც ... ასეთი რთული, ძნელი ელემენ-...ის კომბინაციით წაიყვანა იგი. ...ურებლების მქუხარე ტაში უკ-...ამჟღავნად უდრიდა იმას, რომ ი. ...ავაზიანი უძლიერესი იყო ამ ია-...ღზე.

...აგრამ ყველგან, ყველა იარაღ-... მასპინძელთა სასარგებლოდ ...ი ვითარდებოდა მოვლენები. ...ავიწყოთ ქალთა გამოსვლებიდან, მათი პირველი ვარჯიშიდან: იმას გარდა, რომ ამერიკელმა სპორტსმენებმა საუკეთესო მხრით გვიჩვენეს თავი ღვირზე ვარჯიშში და ამ იარაღის ნამდვილ ოსტატებად წარმოგვიდგნენ, ჩვენმა ტანმოვარჯიშეებმა (ი. მახარაძე, ა. ჯანუყაშვილი, მ. ნინოშვილი) სანახევროდაც ვერ შეძლეს თავიანთი ნამდვილი შესაძლებლობების გამოვლენა.

სამაგიეროდ, ღირსეული მეტოქეები იყვნენ ჩვენი ქალები ნაირსიმაღლის ორძელზე. გ. შარაბიძისა და მ. ცნობილაძის გამოსვლებმა ახლა უკვე თითქმის მასპინძელთა სასარგებლოდ შეცვალეს აუდიტორიის განწყობილება.

ხტომებში ქალთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სტუმრების — დორის ფუკსისა და ბეტი მეიკოკის ოსტატობა.

ეს აზრი დაადასტურა ქალთა უკანასკნელმა ვარჯიშმაც — თავისუფალმა ვარჯიშმა, რომელმაც კვლავ საუკეთესო მხრით წარმოადგინა ბ. მეიკოკი და მ. გროსფელდი. და მ. ნინოშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამერიკელთა ამ ეფექტური ვარჯიშების ფონზე მან საუკეთესო კონკურენცია გაუწია სტუმართა „ავანგარდს" და მათთან ერთად მიიღო მაყურებელთა ერთსულოვანი ტაშიც. კარგი იყო აგრეთვე ცნობილაძისა და შიროკაიას თავისუფალი ვარჯიშები.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სტუმარმა ვაჟებმა, თავიანთივე ქალებთან შედარებით, ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინეს. შესაძლოა აქ დიდი როლი ითამაშა მოსკოვის დაძაბულმა და ამასთან, ამერიკელთათვის უიღბლო შეხვედრამ საბჭოთა ტანმოვარჯიშეებთან. მაგრამ, ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მასპინძელთა რიგებს აკლდნენ უძლიერესები.

ამერიკელებმა აშკარად დათმეს ჩვენი სპორტსმენების წინაშე რგოლებზე ვარჯიში და სამწუხარო ჩავარდნები განიცადეს ტაიჭზეც (თუმცა ამ იარაღზე ჩვენებიც „სცოდავდნენ"). მაგრამ მათ ბევრი რამ კარგი უჩვენეს მაყურებლებს ბჯენით ხტომებში, თავისუფალ ვარჯიშში, და ნაწილობრივ ღერძზე.

ჩვენი სპორტსმენი ვაჟებიდან ი. აივაზიანის გარდა აღსანიშნავია ი. ზალიაურის რგოლებზე, ა. ნარიმანიძისა და რ. კაჭახიძის ღერძზე ვარჯიშები და ჯ. ფრიდონიშვილის მიერ შესრულებული ხტომა.





**სურათებზე:** ამერიკელი გეილ სონატჰერატი და თბილისელი რ. კაჭახიძე (ქვევით მარცხნივ) ვარჯიშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ფეხბურთში საქართველოს პირველობის გათამაშების საბოლოო ცხრილები (მეორე ჯგუფი)

**IX ზონა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „განთიადი" ლანჩხუთი | 7 | 6 | 1 | 0 | 26:8 | 13 |
| მექ. ქარხანა აბაშა | 7 | 5 | 0 | 2 | 18:14 | 10 |
| „სპარტაკი" მახარაძე | 7 | 4 | 1 | 2 | 16:9 | 9 |
| ჰიდ. მექ. ქარხანა ფოთი | 7 | 4 | 1 | 2 | 13:10 | 9 |
| „ლაითური" მახარაძე | 7 | 3 | 1 | 3 | 10:10 | 7 |
| „განთიადი" სამტრედია | 7 | 2 | 1 | 4 | 15:16 | 5 |
| „ალი" დიდი ჯიხაიში | 7 | 1 | 1 | 5 | 11:24 | 3 |
| „ჩაისუბანი" ჩოხატაური | 7 | 0 | 0 | 7 | 6:24 | 0 |

**X ზონა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" ცხაკაია | 6 | 4 | 1 | 1 | 16:10 | 9 |
| № 1 ჩაის ფ-კა წალენჯიხა | 6 | 4 | 0 | 2 | 14:8 | 8 |
| ლესიჭინის ჩ/ს მეურნ. ჩხოროწყუ | 6 | 4 | 0 | 2 | 9:11 | 8 |
| „მერცხალი" ზუგდიდი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:8 | 6 |
| სტალინის სახ. კოლმ. ხობი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:15 | 5 |
| „განთიადი" ზუგდიდი | 6 | 1 | 0 | 5 | 0:0 | 2 |
| „სამეგრელო" ზუგდიდი | 6 | 1 | 0 | 5 | 0:0 | 2 |

**შენიშვნა:** ზუგდიდის გუნდებს 2-2 ქულა აქვთ მოწინააღმდეგეთა გუნდების გამოუცხადებლობის გამო.

# ასე თამაში არ შეიძლება

სპორტში განცდილი დამარცხება მრავალგვარია ისევე, როგორც მრავალგვარია მისგან მიღებული შთაბეჭდილება. თბილისის „დინამოს" კალათბურთელებმა წააგეს პირველი წრის მატჩი მოსკოვის არმიელებთან, მაგრამ მნახველთა აზრით ამ შეხვედრაში დამარცხებული გუნდი არ ყოფილა. არმიელებმა, რომლებსაც უფრო მეტად წყალობდათ სპორტული ბედი, მიიღეს საჭირო ქულა, ხოლო დინამოელებმა — ერთგვარი მორალური უფლება ამ ქულაზე.

„დინამომ" წააგო მეორე წრის მატჩიც იმავე გუნდთან საკუთარ მოედანზე, მაგრამ ეს იყო დამარცხება, რომელიც არ ეპატიება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან კოლექტივს. საქმე მარტო შეხვედრის წაგებაში როდია. არანაკლებ საინტერესოა ის, თუ როგორ დამარცხდა გუნდი და რა გაკეთდა იმისათვის, რომ თავიდან აგვეცილებინა ეს მარცხი.

გადავხედოთ მატჩის ქრონოლოგიას: პირველი 10 წუთი — გუნდები იბრძვიან თავგამოდებით, მთელი ძალებით. შემდეგი 10 წუთი — ინიციატივა არმიელთა მხარეს გადადის, მაგრამ „დინამო" უბრძოლველად არ თმობს პოზიციებს. მეორე ნახევრის პირველი წუთები: ცსკა-მ მოუმატა ტემპს, იერიშების სიმწვავეს, ხოლო „დინამო" დაბნეულია და უსისტემოდ იცავს თავს.

ეს იყო კატასტროფის პირველი სიგნალი, რასაც მოჰყვა სრული არევ-დარევა დინამოელთა რიგებში კრივში მაგალითად, ასეთ დროს წყდება ბრძოლა ერთ-ერთი მხარის აშკარა უპირატესობის გამო, მაგრამ ვინაიდან კალათბურთის წესებში მსგავსი ჰუმანური პუნქტი არ არსებობს, „დინამოს" იძულების წესით მოუხდა შეხვედრის ბოლომდე მიყვანა. არმიელებმა მოიპოვეს ისეთი გამარჯვება, როგორსაც ალბათ ისინი არც ელოდნენ.

ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის მტკიცებას, რომ დინამოელებს შეეძლოთ რევანშის აღება. 24 ქულის განსხვავებით წაგებულ მატჩზე ამის ლაპარაკი უბრალოდ რომ ვთქვათ, უხერხულია. ვიტყვით მხოლოდ, რომ ასეთი თამაში არ შეშვენის გუნდს, რომელიც ჩემპიონატის პრიზიორად გასვლას ფიქრობს. რომელ გუნდს არ განუცდია დამარცხების სიმწარე? სპორტში ეს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავია და განა შეიძლება მოახლოებული მარცხის წინაშე ასეთი უპროტესტო კაპიტულირება? ერთი რამ უნდა ვიცოდეთ კარგად: ძლიერი გუნდი ვალდებულია ვაჟკაცურად შეხვდეს გამარჯვებასაც და დამარცხებასაც. სხვაგვარად სიძლიერე ჰკარგავს თავის შინაარსს.

მოსკოვის არმიელთა კოლექტივი დღეს უდავოდ უძლიერესი გუნდია ევროპაში. ბრწყინვალე დირიჟორის ა. ალაჩაჩიანის ხელმძღვანელობით არმიელთა კალათბურთის მექანიზმი უშეცდომოდ მოქმედებს ყოველგვარ სიტუაციაში. საჭიროა ფარზე მუშაობა? ისინი დაუზარებლად, მთელი მონდომებით იბრძვიან. საჭიროა ტაქტიკური მანევრირება? არმიელები ერთი-მეორეზე აწყობენ მახვილგონივრულ კომბინაციათა ვარიანტებს. სროლები — შესანიშნავი, ტემპი—მაღალი, დაცვა — უბადლო, კალათბურთი კი მეტი არაფერია. ერთი სიტყვით ცსკა-ს მოთამაშეთა პროფესიონალური ოსტატობა უმაღლეს ხარისხამდეა აყვანილი.

თბილისის „დინამო", სამწუხაროდ, განწყობის გუნდია და ამდენად მისი შედეგები არ არის სტაბილური. ჩვენს კალათბურთელებს შეუძლიათ ბრწყინვალედ თამაში და შეუძლიათ მაყურებელთა უკიდურესად გაწბილება. ლამაზი, დახვეწილი, ვირტუოზული კომბინაციების გვერდით დინამოელები უშვებენ უხეშ, ელემენტარულ შეცდომებს და თუ ამას დავუმატებთ მორალური სიმტკიცის უქონლობას, ადვილი გასაგები იქნება დინამოელთა გუშინწინდელი დამარცხების მიზეზი.

როგორ წარიმართა თვით მატჩის მსვლელობა? მე-9 წუთამდე უმნიშვნელო უპირატესობა დინამოელთა მხარეს იყო, მათ მიჰყავდათ ანგარიში 2-3 ქულის განსხვავებით, მე-15 წუთზე წინ გავიდა არმიელთა კოლექტივი—20:18. პირველი ნახევრის დამთავრებამდე მოსკოველებმა ანგარიში განსხვავება 5 ქულამდე გაზარდეს და ტაიმი მოიგეს — 34:29.

განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარეს სტუმრებმა შეხვედრის მეორე ნახევარი. 6 წუთში ცსკა-მ 20 ქულის აღება შეძლო, „დინამომ" კი მხოლოდ ხუთისა. დარჩენილ დროში არმიელთა უპირატესობა აშკარა იყო. მათ მოიგეს მატჩი ანგარიშით 92:68. ვისი გამოყოფა შეიძლება არმიელთა გუნდში? არავისი, ვინაიდან ყველამ ერთნაირი წარმატებით მიიყვანა შეხვედრა ბოლომდე. თბილისის „დინამოში"? არც აქ შეიძლება ვინმეს გამოყოფა, ვინაიდან ყველა ერთნაირად სუსტად თამაშობდა.

**ბ. ახვლედიანი**

ლელო

მე-3 გვ. № 134 (1770)

## დოლარების მოყვარულნი

აშშ-ს ჰოკეის კავშირმა დაიწყო მზადება მსოფლიოს 1962 წლის პირველობისათვის, რომელიც კოლორადო-სპრინგში გაიმართება. მაგრამ ეს სამზადისი მეტად თავისებურ ხასიათს ატარებს. აქამდე აშშ-ს ნაკრები შედგებოდა მხოლოდ ნამდვილი მოყვარულებისაგან, რომლებიც სხვადასხვა უნივერსიტეტების გუნდებში თამაშობდნენ. ახლა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ნაკრებში შეიყვანონ ე. წ. „ნახევრად-პროფესიონალებიც", რომლებიც კლუბებში შეთანხმებით თამაშობენ და გასამრჯელოსაც იღებენ გამოსვლებისათვის.

ამერიკული ჰოკეის კავშირის პრეზიდენტმა ტომ ლოკჰარტმა განაცხადა, რომ „მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ ამერიკელებს ძეტოქეობა გაუწიონ საბჭოთა კავშირს, კანადასა და ჩეხოსლოვაკიას, თუ ნაკრებში ნახევრად პროფესიონალებს აიყვანენ".

ამერიკის ჰოკეის კავშირის ახალი დადგენილების თანახმად მოყვარულად ჩაითვლება ის ჰოკეისტიც კი, რომელიც თამაშისათვის თვეში იღებს მხოლოდ 600 დოლარამდე. საოცარი მოყვარულობაა!



ტურისტები ისვენებენ!

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

## „დან ვერნის საქმე"

მძლეოსანთა საერთაშორისო კავშირმა შვეციის ფედერაციას მოთხოვა ყველა მასალა ცგრეთწოდებული „დან ვერნის საქმის" გამო. საქმის არსი შემდეგში მდგომარეობს: სარბენი ბილიკის ვარსკვლავმა დან ვერნმა მარტო უკანასკნელი წლების განმავლობაში ფედერაციისაგან „ჯიბის ფულად" მიიღო 20 ათასზე მეტი დოლარი, რითაც მან იყიდა საკმაოდ კარგი ფერმა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა და აღშფოთებაც გამოიწვია, შვეციის ფედერაციას არ სურს დაკარგოს თავისი ვარსკვლავი და ყოველნაირად ცდილობს გააჭიანუროს საქმის განხილვა. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა განაცხადა: „ახლა მმართველობის რამდენიმე წევრი შვებულებაშია და სანამ ისინი არ დაბრუნდებიან, მძლეოსანთა საერთაშორისო კავშირის მოთხოვნებს ვერ განვიხილავთ". ფედერაციის მეორე ოფიციალურმა წარმომადგენელმა პირდაპირ თქვა: „რად უნდა მივცეთ დისკვალიფიკაცია ვერნს? სხვა ქვეყნების სპორტსმენებიც ხომ ხშირად არღვევენ მოყვარულობის სტატუტს?! თუ საერთაშორისო კავშირი განაჩენს გამოუტანს დან ვერნს, მაშინ მან ასეთივე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სხვების მიმართაც".

შვეციის პრესა აღნიშნავს, რომ თუ ვერნი დაისჯება, მოყვარულობის სტატუტის ბევრი სხვა დამრღვევის სახელიც ამოტივტივდება ზედაპირზე.

## ტურნირი სან-რემოში

იტალიის ქალაქ სან-რემოში მოეწყო საერთაშორისო ტურნირი, სადაც მონაწილეობდნენ რამდენიმე ქვეყნის იუნიორთა გუნდები.

ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკი" და იტალიის „იუვენტუსი". უკვე მე-10 წუთისათვის წინ იყვნენ იტალიელები — 3:0. შემდგომში სპარტაკელებმა ზედიზედ გაქვითეს ორი გოლი, მაგრამ „იუვენტუსმა" გაიტანა მეოთხე გოლიც და გაიმარჯვა ანგარიშით 4:2.

მეორე ნახევარფინალი შედგა იტალიის გუნდებს „რომასა" და „ტორინოს" შორის. მატჩი ანგარიშით 4:1 მოიგო „რომამ".

ფინალში „იუვენტუსმა" დაამარცხა „რომა" (2:1) და მოიპოვა პირველი ადგილი. მესამე ადგილისათვის ბრძოლა გაიმართა მოსკოვის „სპარტაკსა" და იტალიის „ტორინოს" შორის. მატჩი მოიგეს მოსკოველებმა — 1:0.

ტურნირის დამთავრების შემდეგ მოსკოვის „სპარტაკს" გადაეცა პრიზი, როგორც ტურნირში მონაწილე უცხოეთის ქვეყნის საუკეთესო გუნდს. სპარტაკელთა ცენტრალურ თავდამსხმელს ვ. რეინგოლდს გადაეცა „ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის" სპეციალური პრიზი.

## როგორც ბაზარში...

როგორც ჩანს, ბრძოლა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის ქვემძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის არ შედგება. საქმე იმაშია, რომ ამერიკელი მოკრივე არჩი მური უარს აცხადებს იტალიელი ჯულიო რინალდის წინაალმდეგ გამოსვლაზე, ვინაიდან ამ შეხვედრისათვის მას შესთავაზეს მხოლოდ... 60 ათასი დოლარი.

ნაწყენმა არჩიმ ჯიუტი პოზა დაიკავა და ვაჭრობას შეუდგა. „100 ათასი დოლარი — აი ყველაზე ნაკლები თანხა, რისთვისაც მე დავთანხმდები", — განაცხადა მან.

**რედაქტორი ი. უგულავა.**

**ჩვენი გაზეთის 30 აგვისტოს ნომერში, განაყოფში „ლელო" პასუხობს", მოთავსებული იყო პასუხები ფეხბურთის მოყვარულების — გ. კენჭიაშვილის, ა. ქაჯაიასა და შ. დანდუროვის შეკითხვებზე.**

მათი მეორე შეკითხვა იყო ასეთი: აუტის მოწოდებისას ბურთი გავიდა კარში ისე, რომ არ შეეხო არავის, ან მოხვდა მსაჯს და ისე გავიდა კარში. გოლია ეს თუ არა?

ჩვენს პასუხში დაშვებული იყო გაუგებრობა, ამიტომ შევეცდებით ნათლად გავაშუქოთ საკითხი.

ყველა დარტყმა, რომლითაც ბურთი შეჰყავთ თამაშში, არის თავისუფალი დარტყმა, ეს კი ნიშნავს, რომ ამ დარტყმიდან უშუალოდ კარში გატანილი ბურთი გოლად არ ითვლება. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ კუთხური ბურთი, რომელიც თავისი მნიშვნელობით უთანაბრდება საჯარიმო დარტყმას.

ბურთის ხელით თამაშში შემოგდება გვერდითი ხაზიდან არის თავისუფალი დარტყმის ტიპის ელემენტი, ვინაიდან ბურთი თამაშში შედის მას შემდეგ, რაც მან დატოვა მინდვრის ფარგლები. ესაა ტექნიკური დარღვევა. ამიტომ თუ ხელით შემოგდებული ბურთი უშუალოდ გავიდა კარში, იგი გოლად არ ითვლება.

ახლა ავიღოთ შემთხვევა, როცა თამაშში ხელით შემოგდებული ბურთი ხვდება მსაჯს და გადის კარში.

გოლი არც ამ შემთხვევაში არ ითვლება. საქმე იმაშია, რომ მსაჯი მოთამაშე არაა და მისი მინდორზე ყოფნა ერთგვარ პირობით ხასიათს ატარებს. როცა უშუალოდ თამაშის პროცესში მყოფი ბურთი მოხვდება მსაჯს და გადის კარში, ეს ითვლება არა მსაჯის მიერ გატანილ გოლად, არამედ იმ მოთამაშის მიერ გატანილად, რომელმაც უკანასკნელად დაარტყა კარში. თამაშის წესების ლოგიკა აქ ნათლად მეტყველებს. მართალია, ბურთი მოხვდა მსაჯს, მაგრამ იგი გატანილ იქნა უშუალოდ ხელით შემოგდების საშუალებით.

ასეთ შემთხვევაში, როცა თამაშში ხელით შემოგდებული ბურთი უშუალოდ, ან მსაჯის მეოხებით გადის მოწინააღმდეგის კარში, ინიშნება თავისუფალი დარტყმა კარიდან. თუ ამგვარი რამ მოხდა საპირდაპირო მხარეს და ბურთი გავიდა საკუთარ კარში, მოწინააღმდეგე გუნდს ეძლევა კუთხური დარტყმის უფლება.

* * *

**წალენჯიხის რაიონის სოფ. ჯვარის მცხოვრები ა. ქუხილავა გვეკითხება: 1. შეიძლება თუ არა რაიონის პირველობაზე მონაწილეობა მიიღოს სხვა რაიონის მცხოვრებმა? 2. შეიძლება თუ არა მოთამაშე აღნიშნული იყოს ორ სხვადასხვა განაცხადში ერთიდაიმავე დღისათვის რაიონულ და საქართველოს პირველობაზე?**

ერთი რაიონის მცხოვრებს უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს სხვა რაიონის პირველობაში, თუ იგი ჩაწერილი არაა ამ რაიონში და არ ითვლება მის მცხოვრებად. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ სპორტის ზოგიერთი სახეობა, როცა სხვა რაიონის სპორტსმენები მონაწილეობენ კონკურსგარეშე ან ღია ჩემპიონატებში.

ერთი და იგივე სპორტსმენი ერთ და იმავე დღისათვის ორ განაცხადში შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩათვლა პარალელურია, ე. ი. სპორტსმენი თავისი მაჩვენებლით ჩათვლას აძლევს მაგალითად იმ ფიზკულტურულ კოლექტივსაც, სადაც იგი ირიცხება და იმ საზოგადოებასაც, ვისაც იგი ეკუთვნის და ა. შ.




**ბორჯომელ ჯ. კარაპეტოვს აინტერესებს: ქალთა შორის რამდენი სპორტსმენია სსრ კავშირში და ევროპაში, რომლებიც 100 მეტრს დარბიან 12,0 წამსა და უკეთეს დროში.**

12,0 წამი და უკეთესი დრო 100 მეტრზე რბენაში ევროპაში აქვს 140 ქალს, მათ შორის 81 საბჭოთა სპორტსმენია.

დანარჩენები ჯერჯერობით 12 წამის ტყვეობაში იმყოფებიან.






საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭო, ალპინიზმის ფედერაცია და საქართველოს ალპური კლუბი იუწყებიან სპორტის ოსტატების

**ილია გაბლიანის, თეიმურაზ კუხიანიძისა და ჯუმბერ მეძმარიაშვილის**

ტრაგიკულ დაღუპვას და თანაგრძნობას უცხადებენ მათ ოჯახებს.

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი. „ლელო" ტელეფონები: რედაქტორის — 3-89 62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04051